ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

16-33

დადგენილება № _____

5 დეკემბერი
"____" _____ 2014 წ.

ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის მე-2[1] პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე–16 მუხლის მეორე პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68–ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია, გარდა დანართი 1 რუკით გათვალისწინებული ტერიტორიებისა.

2. პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება მობილურ გარე ვაჭრობის ობიექტებზე, რომელთა სიმაღლე არ აღემატება 1,1 მეტრს, სიგრძე 0,8 მეტრს და სიგანე 0,6 მეტრს. მათი განთავსება ნებადართულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, გარდა დანართი 2 რუკით გათვალისწინებული ტერიტორიებისა.

3. პირველი და მე–2 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება გარე ვაჭრობას დაქვემდებარებულ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილურ დანადგარებზე.

მათი განთავსება ნებადართულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ იმ ტერიტორიებზე, რომელიც არ ჰყვება დანართი 1 და 2 რუკებზე, აგრეთვე დადგენილების მე–3 პუნქტით გათვალიწინებულ ობიექტებზე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შებობა-ნაგებობის ან/და დანადგარების განთავსება უნდა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

5. ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე, რომლებიც განთავსებულია ამ დადგენილების თანდართული რუკებით აკრძალულ ტერიტორიაზე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობით და განსაზღვრული ვადით, ვადის გასვლის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილია გააგრძელოს ობიექტის განთავსების ვადა არაუმეტეს 1 (ერთი) წლით.

6. დამტკიცდეს დანართი 1 და დანართი 2 რუკები, რომლებიც წარმოადგენს ამ აქტის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბერის N25.04.1186 დადგენილება.

8.დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) პროექტის მიღების მიზეზი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიღებამ და "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებამ.

ბ) პროექტის ძირითადი არსი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილება გამოცემულია მისი მიღების დროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის "საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. დღეის მდგომარეობით, "საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონი ძალადაკარგულია და მოქმედებს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის თანახმად, გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს. წინამდებარე პროექტით ხორციელდება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

გ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

დ) პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი:

დ.ა) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ.ბ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.